მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2024 წელი, №2

ზემო სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის ხელახალი აღმოჩენა

❖ სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი მოხარულია გაცნობოთ, რომ 2024 წლის 26 ივლისიდან 4 აგვისტომდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი მესტიის მუნიციპალიტეტში აწყობს საერთაშორისო ვორკშოფს - „ზემო სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის ხელახლა აღმოჩენა“. თსუ • ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი

❖ საერთაშორისო კულტურული ვორკშოფი ხორციელდება სირაკუზის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების კოლეჯსა და ნიუ ჯერსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რატგერსის ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტთან თანამშრომლობით.

❖ ვორკშოფის პარტნიორია სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი.

❖ ათდღიან საერთაშორისო ვორკშოფში მონაწილეობით მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის ათ ახალგაზრდა მკვლევარს ეძლევა შესაძლებლობა, მოინახულოს ზემო სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, მონაწილეობა მიიღოს საველე - კვლევით სამუშაოებში და ჩაერთოს სამეცნიერო დისკუსიაში. ყოველივე ეს საუკეთესო წინაპირობაა არამარტო ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის შესაცნობად, არამედ პროფესიული ურთიერთობების დამყარებისა და შემდგომი გაღრმავებისთვის.

ვორკშოფი ხორციელდება საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს US Embassy Tbilisi, Georgia ფინანსური მხარდაჭერით.

● ვორკშოპის პროგრამა:

■ 27 ივლისი - „ზემო სვანეთის საერო და რელიგიური არქიტექტურა“

ეკატერინე კასრელიშვილი:

✓ მესტია, სვანეთის მუზეუმის N1 ფილიალი „სვანური სახლი კოშკ - მაჩუბი“

✓ რატიანების მაჩუბი

ლიზა მარზან:

✓ ლატალი, გირგვლიანების მაჩუბი,

✓ მაცხოვრისა და მთავარანგელოზის ტაძრები (მაცხვარიში),

✓ იონა წინასწარმეტყველის ტაძარი (იენაში)

დღის ბოლოს ანსამბლ „რიჰოს“ კონცერტი ვორკშოპის მონაწილეთათვის.

■ 28 ივლისი - „ზემო სვანეთის შუა საუკუნეების საგანძური: სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის კოლექცია“

დოროტა ზარპალსკა:

✓ ბიზანტიური ხელოვნებისა და ქართული ხატწერის ზოგადი ტენდენციები: ჯვარცმის ხატები და ორმოცი სებასტიელი მოწამე, სეტის ტრიპტიქი

ბელა რადანოვიჩი:

✓ ხალხური ტენდენციები სვანურ ხატწერაში: ღვთისმშობლისა და წმინდა ბარბარეს ხატი.

ღვთისმშობლის ოდიგტრია, წმინდა მეომრების ხატი

▶ ვიზიტი ლაბსყალდის მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარში

✓ 18:30 საათი - პროფ. ზაზა სხირტლაძის საჯარო ლექცია „ფერწერის სკოლები შუა საუკუნეების საქართველოში“ - სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის სააქტო დარბაზი

■ 29 ივლისი - „ზემო სვანეთის ადრეული მონუმენტური მხატვრობა“

სარა მატისენ:

✓ ჩვაბიანი, მაცხოვრის ტაძარი

ნინო კვირიკაშვილი:

✓ ნესგუნი, მაცხოვრის ტაძარი

▶ ვიზიტი იფხის წმ. გიორგისა და თანღილის მთავარანგელოზის ტაძრებში

■ 30 ივლისი - „გამოსახულებათა ურთიერთქმედება სვანურ ფერწერის სკოლაში“

ლიზა მარზან:

✓ სოფ. ხე, წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესია

■ „მეფეთა მხატვარი თევდორე და მისი ნამუშევრები ზემო სვანეთში“

ელისა გალარდი:

✓ იფრარი, მთავარანგელოზის ტაძარი

კარლო ბერარდი:

✓ კალა, წმ. კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესია (ლაგურკა)

ბელა რადენოვიჩი:

✓ ნაკიფარი, წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

✓ 18:30 საათი, საჯარო ლექცია - ერიკ თუნო „სამხრეთ კავკასიური ჯვრის ურთიერთდაკავშირებული სამყარო“ - სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის სააქტო დარბაზი

■ 31 ივლისი - დისკუსია

■ 1 აგვისტო - „ზემო სვანეთის ფასადური მხატვრობა“

ლაურა რობინსი:

✓ ლაღამის ფერიცვალების ეკლესია

ქეთევან ღონღაძე:

■ „პალეოლოგთა მონუმენტური მხატვრობა ზემო სვანეთიდან“

✓ ლაშთხვერის მთავარანგელოზის ტაძარი

▶ ვიზიტი სვიფი - ფარის წმ. გიორგის ტაძარში

✓ 18:30 საათი - პროფ. ირინე კოშორიძის საჯარო ლექცია - „აღმოსავლური ქსოვილები შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო არტეფაქტებზე“ - სვანეატის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის სააქტო დარბაზი

■ 2 აგვისტო - „ზემო სვანეთის ხუროთმოძღვრული ლანდშაფტი - დასახლების დაგეგმარება“

ნინო კვირიკაშვილი:

✓ სოფ. ადიში

კარლო ბერარდი

✓ უშგულის თემის სოფლები (მურყმელი, ჩაჟაში, ჩვიბიანი, ჟაბიანი)

■ ზემო სვანეთის შუა საუკუნეების საგანძური: სვანეთის მუზეუმის N2 ფილიალის „უშგულის კოშკ - მუზეუმის კოლექცია“

ლაურა რობინსი:

✓ მთავარანგელოზების ხატი

სარა მატისენ:

✓ მაცხოვრისა და მისი შემწირველის ხატი

✓ ღვთისმშობლის ხატი

✓ 18:30 საათი საჯარო ლექცია - გლენ პერსი - „ბიზანტიური ხელოვნება“ - სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის სააქტო დარბაზი

■ 3 აგვისტო - „ზემო სვანეთის ოქრომჭედლობის სკოლა“

ეკატერინე კასრელიშვილი

✓ სამკაულები და ლითონის დამუშავება სვანეთში საუკუნეების მანძილზე

ელისა გალარდი:

✓ ადგილობრივი და გავრცელებული ტენდენციები ზემო სვანეთის ჭედურ ხატებში: მაცხოვრის ხატი და მეომარ წმინდანთა ხატი

■ „ზემო სვანეთის ხელნაწერები“

დოროთა ზარპალსკა

✓ მესტიის ოთხთავი

ქეთევან ღონღაძე

✓ ლაბსყალდის ოთხთავი

▶ ვორკშოპის შემაჯამებელი შეხვედრა

▶ ვორკშოფის სამუშაო ენაა ინგლისური.

ყველაზე წიგნიერი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ ქვეყნის მასშტაბით სასკოლო კონკურსის „ყველაზე წიგნიერი“ გამოცხადებისთანავე, მესტიის მუნიციპალიტეტის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის სკოლა-გიმნაზიისა და მესტიის მ. ხერგიანის სახელობის მეორე საჯარო სკოლის პედაგოგმა თაკო საჯაიამ კონკურსში ჩართო გიმნაზიისა და მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეები.

მოსამზადებელ პერიოდში, ხუთი თვის განმავლობაში, ბავშვებმა ცამეტი წიგნი დაამუშავეს და წინასაკონკურსო სამი ეტაპი წარმატებით გადალახეს, სამივეში უმაღლესი ქულები აიღეს და ფინალშიც ითამაშეს.

თაკო მასწავლებელი და ბავშვები დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ მუშაობას. მოსწავლეები დღე და ღამე კითხულობდნენ, აკონსპექტებდნენ ტექსტებს, იწერდნენ კითხვებს..

სწორედ ასეთმა მონდომებამ დადო შედეგი, რასაც გამარჯვება ჰქვია.

თავიდან კონკურსში 160-ზე მეტი სკოლა მონაწილეობდა, ფინალში შემორჩა 88 და აქედან 5 სვანეთიდან- გიმნაზიისა და მეორე საჯარო სკოლის გუნდები გახლდათ.

ქვეყნის მასშტაბით ამ 88 გუნდიდან სამმა სკოლამ დაიკავა საპრიზო ადგილი. პირველი და მეორე ადგილი კი გიმნაზიამ აიღო! მაქსიმალური ქულა 30 გახლდათ,

ჩვენმა გუნდებმა უმაღლესი შედეგი აჩვენეს:

1. გიმნაზიამ- 28,29,30,30

2. მეორე საჯარო სკოლამ-29.

ჟიურის გადაწყვეტილებით, სკოლა გიმნაზიის მოსწავლეები ქვეყნის ყველაზე წიგნიერები გახდნენ !

გამარჯვებულები ფულადი ვაუჩერებითა და სხვადასხვა პრიზებით დაჯილდოვდნენ.

ვულოცავთ პედაგოგ თაკო საჯაიას და ოცდაათივე მონაწილეს ამ დიდ წარმატებას.

წიგნიერების გაღრმავებისკენ მიმართულ კონკურსებში აქტიური მონაწილეობა და წიგნთან მეგობრობა შექმნის იმ თაობას, რომელმაც უნდა იზრუნოს ქვეყნის მომავალზე.

საგრანტო კონკურსი

მორიგი შესაძლებლობა რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ინიციატივების მხარდასაჭერად!

საგრანტო კონკურსის მიზანია ახალგაზრდული ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფებისა და ახალგაზრდების გაძლიერება, ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობის, ხარისხიანი სერვისების შექმნისა და მათი ხელმისაწვდომობის ზრდის უზრუნველსაყოფად.

საგრანტო პროექტის წარმოდგენის უფლება აქვს რეგიონში მცხოვრებ:

ახალგაზრდულ ორგანიზაციას;

ფიზიკურ პირს, რომელიც საგრანტო პროექტის განხორციელების მიზნით, საინიციატივო ჯგუფში აერთიანებს რეგიონში მცხოვრებ არანაკლებ ხუთ ახალგაზრდას.

კონკურსის საერთო ბიუჯეტია 600 000 ლარი. ერთი საგრანტო პროექტის მაქსიმალური დაფინანსება შეადგენს 15 000 ლარს.

საგრანტო პროექტის სამიზნე ჯგუფებია: რეგიონში მცხოვრები 6-13 წლის ბავშვები და 14-29 წლის ახალგაზრდები.

საკონკურსო განაცხადები მიიღება ყოველი თვის 13 რიცხვიდან 25-ის ჩათვლით, ელექტრონულ ფოსტაზე - grants-1@youthagency.gov.ge. საგრანტო კონკურსი სრულდება 2024 წლის 10 ნოემბერს.

მესტიის მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი გეგმა

– მერის მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში



ტრადიციულად, საკრებულოს ფეისბუქ გვერდისა და ადგილობრივი გაზეთის „ლილე“ მეშვეობით, ვცდილობთ მაქსიმალურად მივაწოდოთ მოქალაქეებს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების, სხვადასხვა სამსახურის, მათი ხელმძღვანელებისა და პასუხისმგებელი პირების საქმიანობის შესახებ.

დღეს გვსურს გესაუბროთ მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველის (ეკონომიკის საკითხებში) – ბატონ ლევან ჯაფარიძის შესახებ და პარალელურად გაგაცნოთ მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი გეგმა, რომელიც საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებს ლევან ჯაფარიძემ წარუდგინა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრებისა და სხვადასხვა სფეროში უამრავი სემინარის გავლის შემდეგ, ლევან ჯაფარიძის შრომითი ბიოგრაფია ასეთი გახლავთ:

საქართველოს ტყის აღრიცხვის დეპარტამენტი, ტყის ინფორმაციისა და კადასტრის სამმართველო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტო, ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ტყისა და ველური ბუნების მართვის დეპარტამენტი, ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ტყის მართვის დეპარტამენტის ტყის აღრიცხვის სამმართველო, ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ნავთობისა და გაზის დეპარტამენტი, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ნავთობისა და გაზის დეპარტამენტის ნავთობისა და გაზის ხელშეკრულებების და საქმიანობის ლიცენზიების სამმართველო, სააქციო საზოგადოება ნავთობის ეროვნული კომპანია, საინფორმაციო ანალიტიკური სამსახურის უფროსი, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, საქართველოს ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე აფხაზეთის ა/რ გულრიფშის რ-ნის კოდორის ხეობაში, საქ. პრეზიდენტის სახ. რწმუნებულის აპარატი, ვიცე-პრეზიდენტი საქართველო-აზერბაიჯანის კულტურულ ურთიერთობათა ასოციაცია, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მესტიის ადგილმრეწველობის კომბინატი და სხვა მოვალეობები: მონაცემთა მართვის ერთიან სისტემასთან მუშაობა, გეომანცემთა ბაზებთან მუშაობა, სახელმწიფო ტყის ფენის მონიტორინგი, სახელმწიფო ტყის საზღვრის კორექტირება, მონაცემთა მართვის ერთიან სისტემასთან მუშაობა, გეომანცემთა ბაზებთან მუშაობა, სახელმწიფო ტყის ფენის მონიტორინგი, სახელმწიფო ტყის საზღვრის კორექტირება, Arc-Gis-ის პროგრამაზე მუშაობა, გეოლოგიური ფონდების სისტემატიზაცია და დაარქივება, შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელობა, მონაცემთა კომპიუტერული და გრაფიკული დამუშავება, ადმინისტრაციული ზედამხედველობა, აპარატის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველოფა, საქართველო-აზერბაიჯანის კულტურულ ურთიერთობათა ასოციაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობა, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში შემოსული კორესპონდენციის დამუშავება და დაგზავნა შესაბამის დეპარტამენტებში, წერილებზე პასუხების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში და სხვ.

დიდი ფუფუნებაა, როცა ასეთი გამოცდილი, მომზადებული, პასუხისმგებლიანი და განათლებული კადრი სამუშაოდ გადმოდის ჩვენს მუნიციპალიტეტში.

გვსურს ვუსურვოთ მას უამრავი წარმატება და აქვე წარმოგიდგინოთ მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი გეგმის ნაწილი.

მდგრადი განვითარების მიზნების მესტიის მუნიციპალიტეტში დანერგვისა და კოორდინაციის პროცესი ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, მესტიის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით, გაეროს მდგრადი განვითარების 9 მიზანი და 26 ამოცანა განისაზღვრა მუნიციპალურ პრიორიტეტად.

მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი მომზადდა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, რომელიც სრულად ეყრდნობა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 და 2017 წლის 7 ივლისის A/RES/71/313 რეზოლუციებს.

მდგრადი განვითარების მიზნების კომპლექსურობის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ერთად, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელებს აქტივობებს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად.

მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები ასევე, ამოცანის შესრულების 33 ინდიკატორი, საბაზისო მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები (2030 წლისთვის) მოცემულია დანართებში.

აღნიშნული ინდიკატორები საშუალებას მისცემს ადგილობრივ თვითმმართველობას გაზომოს პროგრესი მიზნების მიღწევის მიმართულებით.

მუნიციპალიტეტის მიერ მომდევნო წლებში დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობებისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების თანხვედრის დადგენის მიზნით, განისაზღვრა ურთიერთკავშირი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და მიზნებს შორის.

მდგრადი განვითარების მიზნების მესტიის მუნიციპალური დოკუმენტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები.

მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი ეხება მდგრადი განვითარების 3 განზომილებას – ეკონომიკურს, სოციალურსა და გარემოსდაცვითს. იგი წარმოადგენს იმ მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების ადგილობრივ განსაზღვრებას, რომლის შესაბამისადაც მესტიის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, მისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში საქმიანობის დაგეგმვას 2030 წლამდე.

მიზნების დანერგვისა და მათი შესრულების მონიტორინგის ხელშეწყობის მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია ქმნის მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოს და განსაზღვრავს მის შემადგენლობას.

საბჭოს ხელმძღვანელობს მესტიის მუნიციპალიტეტის მერი. საბჭოს ქვეშ შექმნილია 3 თემატური სამუშაო ჯგუფი: ჯანდაცვა და სოციალური ჩართულობა, ინფრასტრუქტურა და ეკონომიკური განვითარება, გარემოს დაცვა. მათ მუშაობას ანალიტიკურ და ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახური.

საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორებიდან.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მონიტორინგს მესტიის მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახური. მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მონიტორინგის მიზნით შექმნილია სპეციალური ანგარიშგების ფორმა, რომლის შევსებასა და მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოსათვის მიწოდებას უზრუნველჰყოფს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახური.

მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის იანვარში.

დანართი №2-ით, „მესტიის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნები“, განსაზღვრულ წამყვან უწყებებს ევალებათ ანგარიშგება მოახდინონ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის წინაშე.

მუნიციპალიტეტში მდგრადი განვითარების მიზნების თაობაზე ყოველწლიური ანგარიში წარედგინება მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოს.

მონიტორინგი მიზნად ისახავს ამოცანების შესრულების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, გრძელვადიან პერსპექტივაში მუნიციპალიტეტის საქმიანობის განვითარების ტენდენციების განსაზღვრას, გამოწვევების დადგენასა და შესაძლო ჩარევის სფეროების იდენტიფიცირებას.

მონიტორინგის პროცესი ასევე გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ მუნიციპალიტეტის მიმოხილვის ანგარიში წარედგინება საქართველოს პრემიერ-მინისტრის, 2020 წლის 23 იანვრის, №14 ბრძანებით შექმნილ, მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს, წელიწადში ერთხელ, თებერვლის თვეში. ასევე, საბოლოო ანგარიში შემუშავდება 2030 წელს.

ზემოთ აღნიშნული დანართები და განვითარების სტრატეგიული გეგმის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე: mestia.gov.ge

ასევე, მოგახსენებთ რომ აღნიშნული სტრატეგიული გეგმა არის ცოცხალი დოკუმენტი და მასში ცვლილების შეტანა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, არგუმენტირებული და ლოგიკური მოსაზრებების წარმოდგენის შემთხვევაში.

"ფორევერ ლივინგ პროდაქტსი"



მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ, აგვისტოს თვეში, მესტიაში, ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის, ფორევერ ლივინგ პროდაქტსის – მსოფლიო ლიდერი ალოე ვერას და მეფუტკრეობის საფუძველზე დამზადებული პროდუქტების მწარმოებელი კომპანიის პრეზენტაცია ჩატარდება.

პრეზენტაციას გაუძღვება კომპანიის უფროსი მენეჯერი საქართველოში, ქ. მარიამ ჭანტურია.

მოსახლეობის ინფორმრებულობის მიზნით, გთავაზობთ მცირე ინფორმაციას კომპანიის შესახებ.

ფორევერ ლივინგ პროდაქტსი (ფლპ) – ეს არის ალოე ვერას პროდუქციის მოყვანის, წარმოების და გავრცელების ყველაზე დიდი კომპანია მსოფლიოში. კომპანია აკონტროლებს წარმოების სრულ ციკლს – მცენარის დარგვიდან საბოლოო პროდუქციამდე.

ფლპ დაარსდა 1978 წლის 13 მაისს არიზონის შტატის დედაქალაქ ფენიქსში. კომპანიის დამაარსებელი და მფლობელია ბატონი რექს მონი.

ფორევერ ლივინგ პროდაქტსის დაარსებამდე რექს მონი უკვე საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენი იყო. ის არიზონის შტატში, ქალაქ ფენიქსში არსებული მრავალმილიონიანი შემოსავლის მქონე კომპანიის პრეზიდენტი გახლდათ, როდესაც მისი ყურადღება მიიპყრო მარკეტინგულმა ქსელმა, კერძოდ, ფინანსური თავისუფლების მიღების შესაძლებლობამ ბიზნესის შედარებით ახალ ინდუსტრიაში. დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო ამ იდეის ძირითადი ფაქტორები. რექსმა შექმნა მომგებიანი მარკეტინგული გეგმა, რომელმაც მიიპყრო ისეთი ადამიანების ყურადღება, ვისაც სურდა მიეღო არჩევანის თავისუფლება. შემდეგ მან გამოიყენა სტაბილიზებული ალოე ვერას მრავალსაუკუნოვანი თვისებები და უპირატესობები მაღალი ხარისხის პროდუქტების მისაღებად. თავისი არსებობის 35 წლის მანძილზე კომპანია ფორევერ ლივინგ პროდაქტსმა მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს. 2010 წელს მისმა გაყიდვებმა გადააჭარბა 2,5 აშშ დოლარს. დღეს კომპანია წარმოდგენილია მსოფლიოს 150 ქვეყანაში და ის ფლობს მსოფლიოში ალოე ვერას ყველაზე დიდ პლანტაციებს. ისინი მდებარეობს სამხრეთ ტექსასში, რიო-გრანდეს ველზე, აგრეთვე – დომინიკის რესპუბლიკაში და ამერიკის კონტინენტის აღმოსავლეთ რეგიონში. პლანტაციების ასეთი დიდი რაოდენობა არის ეკოლოგიურად სუფთა რაიონებში მოყვანილი ალოე ვერას შეუფერხებელი მიწოდების გარანტი.

ალოე ვერას აღმოცენების პროცესი მიმდინარეობს კომპანიის პერსონალის მზრუნველი მეთვალყურეობის ქვეშ. ეს მოიცავს როგორც ნორჩი მცენარეების გამოყვანას ე.წ. „ბაგებში“, ისე დიდი ბუჩქების მოვლას და მწიფე ფოთლების დროულად და ფაქიზად შეგროვებას, რომლებსაც ხელით კრეფენ. მოსავლისათვის ვარგისია მხოლოდ ალოეს 4-წლიანი მწიფე მცენარე, როდესაც ის აღწევს ბიოლოგიური აქტივობის პიკს. არანაირი ქიმიური სასუქი და პესტიციდი არ გამოიყენება არც გრუნტში შესატანად, არც მცენარეებზე შესაშხურებლად.

ალოე ვერას, რომელსაც ხშირად „საოცრება მცენარეს“ ან „ბუნებრივ ექიმს“ უწოდებენ, მრავალი საოცარი თვისება გააჩნია. ის აღმოცენდება თბილ და მშრალ კლიმატში და ბევრს ის კაქტუსი ჰგონია. მაგრამ, სინამდვილეში, ალოე მიეკუთვნება შროშანისებრთა ოჯახს. ამ სიცოცხლისუნარიან მცენარეს შეუძლია იარსებოს ისეთ პირობებში, რომლებშიც სხვა მცენარე ჭკნება და კვდება. ექსტრემალურ სიტუაციებში ის ხურავს კანის ფორებს, ინარჩუნებს ტენს ფოთლის შიგნით. ამ მცენარის 200-ზე მეტი სახეობა არსებობს, თუმცა, სწორედ ალოე ბარბადენსის მილერს (ალოე ვერას) გააჩნია შესანიშნავი სამკურნალო თვისებები და მოაქვს ადამიანებისათვის დიდი სარგებელი. ძველი წყაროებიდან, რომლებიც ათასწლეულებს ითვლის, ვიცით, რომ ამ საოცარი მცენარისაგან დამზადებული რეცეპტები გადაეცემოდა თაობიდან თაობას. აგერ უკვე 4000 წელზე მეტია, რაც ადამიანები იყენებენ ალოეს თერაპიულ და შემახორცებელ თვისებებს. პირველი უძველესი ცნობები ალოეს შესახებ აღმოაჩინა ჯორჯ ებერმა 1862 წელს, ჩვ. წ.ა.-მდე 1500 წლით დათარიღებული ძველეგვიპტური პაპირუსების შესწავლისას. ძველი რომაელი და ბერძენი ექიმები ფართოდ მოიხმარდნენ ალოეს, როგორც სამკურნალო მცენარეს. გამოკვლევების დროს გამოირკვა, რომ ჩინეთის და ინდოეთის ძველი კულტურებიც იყენებდნენ ალოე ვერას. ეგვიპტის დედოფლები იყენებდნენ ალოეს სხეულის სილამაზის შესანარჩუნებლად, ფილიპინებზე კი, მაგალითად, ალოეს ამატებდნენ რძეში, თირკმლის ინფექციების სამკურნალოდ. ალოე ნახსენებია ბიბლიაში. ერთ-ერთი ძველი ლეგენდა კი მოგვითხრობს, რომ ალექსანდრე დიდმა უბრძანა ინდოეთის ოკეანეში მდებარე კუნძული სოკოტროს დაპყრობა, სადაც მცენარის პლანტაციები იყო, რათა ჰქონოდა საკმარისი ალოე თავისი მებრძოლების ჭრილობების სამკურნალოდ.

დღეს მედიკამენტოზური მკურნალობა ეფექტურად გამოიყენება მრავალი დაავადებისას, თუმცა, სინთეზირებული წამლების ხანგრძლივი გამოყენება და მათი ურთიერთქმედება შეიძლება მძიმე გვერდითი მოვლენების გამომწვევი გახდეს. თანდათანობით სულ უფრო მეტი მომხმარებელი ემხრობა მკურნალობის ტრადიციულ და ფიტოთერაპიულ მეთოდებს, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში უგულებელყოფდნენ. შედეგად, ალოე ვერას მცენარემ კვლავ მიიპყრო ყურადღება თავისი მშვენიერი თვისებებით, რაც გამოიხატება ჯანმრთელობის და სილამაზის შენარჩუნებაში. თუ თქვენ გაჭრით ვაშლს და მას დატოვებთ ჰაერზე, გაჭრის ადგილას ის სწრაფად შეიცვლის ფერს. იგივე ემართება ალოესაც. ბუნებაში ალოეს რბილობი კარგად არის დაცული სქელი კანით, რომელიც თავიდან იცილებს მცენარის მიერ ტენიანობის დაკარგვას. როგორც კი ფოთოლს მოჭრიან, იწყება დაჟანგვის პროცესი და თუ ამ პროცესს არ გავაკონტროლებთ, მცენარის რბილობი, რომელსაც შემდგომში გელს ვუწოდებთ, ნაწილობრივ დაკარგავს თავის სასარგებლო თვისებებს.



კომპანიის უდიდესი მიღწევაა ბუნებრივი ანტიოქსიდანტების – A, E და C ვიტამინებისდახმარებით ალოე ვერას სტაბილიზაციის (შენარჩუნების) დაპატენტებული ტექნოლოგიის შემუშავება. ნატურალური სტაბილიზაცია მაღალი ტემპერატურების გამოყენების გარეშე დაგვეხმარა თავიდან აგვეცილებინა ქიმიური პროცესების მავნე ზემოქმედება ალოეს გელში შემავალ 200-ზე მეტი ბოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებზე და შეგვენარჩუნებინა მისი თვისებები, რომლებიც იდენტურია ახლად მოჭრილი ფოთლისა. ალოე ვერას ფოთლები შეიცავს ვიტამინებს, მინერალებს, ამინომჟავებს და სხვა სასარგებლო ნივთიერებებს. ალოე ვერასგან დამზადებულ სასმელებს აქვთ შენახვის ხანგრძლივი ვადა, უნიკალური სამფენიანი პლასტიკის შეფუთვის წყალობით, რაც იცავს წვენს მზის ზემოქმედებისა და დაჟანგვისაგან. ქალაქ ნიუ-იორკის კვების პროდუქტების და წამლის პრეპარატების საცდელმა ლაბორატორიამ ჩაატარა კომპანია ფორევერ ლივინგ პროდაქტსის ალოე ვერას გელის და ალოე ბარბადენსის დიდი მცენარის უშუალოდ გამოცდის წინ აღებული ფოთლების რბილობის სტაბილიზებული შემადგენლობის დამოუკიდებელი კვლევა. ორივე პროდუქტი იქნა აღიარებული „პრაქტიკულად იდენტურად“. ეს გამოწვეულია იმით, რომ დაკრეფის შემდეგ ფოთლებს რეცხავენ, აფასოვებენ და გამოწურავენ ალოეს სუფთა რბილობს. დარჩენილ კანს კი სასუქად იყენებენ. გადამამუშავებელ ქარხნებში შენარჩუნებულია ფარმაკოლოგიური წარმოების სტანდარტების შესაბამისი სტერილურობა. წარმოების დაპატენტებული პროცესი იძლევა ალეო ვერას გელის თვისებების შენარჩუნების საშუალებას. ფორევერ ლივინგ პროდაქტსის მიერ გამოშვებულ ალოე ვერას შემცველ პროდუქტებს შეფუთვაზე აქვთ ალოეს საერთაშორისო სამეცნიერო საბჭოს სერტიფიკაციის ნიშანი, რომელიც ადასტურებს ალოეს გელის მაღალი კონცენტრაციის არსებობას და წარმოების მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებას. გარდა ამისა, ზოგ პროდუქტზე არის კოშერის და ისლამის სერტიფიკატები, რომლებიც ადასტურებს, რომ ფლპ-ს მოცემული პროდუქცია აღიარებულია მთელს მსოფლიოში. ალოე ვერას ფორევერ სასმელების დამზადების საქმეში მნიშვნელოვანი მომენტია კანში არსებული ალოინის კონტროლირებადი დაბალი კონცენტრაცია. დადგინდა, რომ ეს ნივთიერება მცირე რაოდენობით არის ალოე გელის სასარგებლო აქტიური კომპონენტი, ხოლო დიდი რაოდენობით ალოინს შეუძლია გამოიწვიოს კუჭის გაღიზიანება, რაც ახასიათებს ალოესგან სახლის პირობებში დამზადებულ პროდუქტებს. კომპანია არწმუნებს საკუთარ მყიდველებს პროდუქციის მაღალ ხარისხში. ამაში დარწმუნდებით, როცა მათ გასინჯავთ.

გარდა ალოე ვერას პროდუქციისა, კომპანია აწარმოებს ბიოლოგიურად აქტიურ დანამატებს მეფუტკრეობის პროდუქტებიდან, რომლებიც გროვდება არიზონაში, სონორანის მაღალმთიანი უდაბნოს რაიონებში, ეკოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე ხელსაყრელ ადგილას. ფორევერის მეფუტკრეობის პროდუქტების მაღალი ხარისხი და სისუფთავე აიხსნება განსაკუთრებულად სუფთა ჰაერით და წყლით, აგრეთვე – ამ ადგილმდებარეობაში მზარდი სამკურნალო მცენარეების სიუხვით. ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების უწყვეტი მუშაობის წყალობით მივიღეთ მტვრის, პროპოლისის და ფუტკრის რძის შესაგროვებელი ტექნოლოგიების პატენტების დიდი რაოდენობა.

ფორევერ ლივინგ პროდაქტსი ასევე გთავაზობთ სტაბილიზებული ალო ვერას გელის ბაზაზე შექმნილი კოსმეტიკური პროდუქციის მთელ გამას. ალოე ვერას გელს აქვს კანში ღრმად შეღწევის და მისი მოვლის, დატენიანების, შიგნიდან კვების უნარი, ისე რომ აძლევს მას თავის შეუფასებელ შემადგენლობას, რომლითაც ის ბუნებამ დააჯილდოვა. ამის შესახებ იცოდნენ წარსულში ულამაზესმა ქალებმა – კლეოპატრამ და ნეფერტიტიმ. ძველი საბერძნეთის ქალები იყენებდნენ ალოეს ახალ წვენს კანის მოვლისათვის და ალოეს „ვენერას საჩუქარს“ უწოდებდნენ.

კომპანია იყენებს კოსმეტოლოგიის უახლეს მიღწევებს ალოე ვერაში ელასტინის, კოლაგენის, ალანტოინის, სამკურნალო ბალახების ექსტრაქტების, ხილის მჟავების, ანტიოქსიდანტების და ზღვის წყალმცენარეების ექსტრაქტების დამატებით. ფლპ-ის გამაჯანსაღებელი კოსმეტიკა განკუთვნილია ნებისმიერი ტიპის და ასაკის კანის მოვლისათვის. მისი გამოყენება შეუძლიათ ქალებს, მამაკაცებს, მოზარდებს და ბავშვებს.

ფლპ-ის პროდუქცია ეფექტიანად ებრძვის დროის და გარემოს გავლენას. ჩვენ გვაქვს უამრავი გამოცდილება, თუ როგორ ჯანსაღდებიან და

ლამაზდებიან ადამიანები ამ პროდუქციის რეგულარული გამოყენების შედეგად. სცადეთ ფორევერ ლივინგ პროდაქტსის პროდუქცია და თქვენ თავად დარწმუნდებით მის სიკეთეში.

პრეზენტაციასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და სხვა დეტალებისათვის შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე:

T: 599 855 545

გისურვებთ ჯანმრთელობას

მუზეუმების საერთაშორისო დღე

სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმში მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნა. ეს დღე სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის თანამშრომლებს განსაკუთრებულად მიულოცეს ლენჯერის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა, რომლებმაც ფართო საზოგადოების წინაშე წარმოადგინეს რამდენიმე მუსიკალური ნომერი და მათ მიერ გადაღებული მხატვრული ფილმი ოკუპირებული აფხაზეთის შესახებ.

ამასთანავე, სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის დროებით საგამოფენო სივრცეში ლენჯერის საჯარო სკოლისა და სვანეთის მუზეუმის ორგანიზებით მოეწყო ახალგაზრდა სვანი მხატვრის რამაზ ფილფანისა და მისი მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა, რომელიც გაიხსნა ანსამბლ „რიჰოს“ უნიკალური ჰანგების ფონზე.

რამაზ ფილფანი გახლავთ XXI საუკუნის უაღრესად ნიჭიერი მხატვარი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული, რომლის თითოეული ნამუშევარი შთამბეჭდავი პროფესიონალიზმითაა შესრულებული, თითოეული მათგანი გამოირჩევა საოცრად დახვეწილი შესრულების ტექნიკით, ყოველი გრაფიკული ნამუშევარი გამსჭვალულია მხატვრის განსაკუთრებული დამოკიდებულებითა და სიყვარულით საკუთარი საქმისა და ხელოვნებისადმი.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და სვანეთის მუზეუმის თანამშრომლებს პროფესიული დღე მიულოცეს მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის მოადგილემ ბატონმა რამაზ ფილფანმა, ლენჯერის N1 საჯარო სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ელისო გულედანმა და ამავე სკოლის მოსწავლეებმა.

ღონისძიების პარალელურად, მთელი დღის განმავლობაში ასობით ქართველმა თუ უცხოელმა ვიზიტორმა აქტიურ რეჟიმში უფასოდ დაათვალიერა მუზეუმის უნიკალური ექსპოზიცია გახანგრძლივებული დროით (10:00-20:00).

მთელი დღის მანძილზე სვანეთის მუზეუმის დამთვალიერებელთათვის მოეწყო არაერთი უფასო ტური/ექსკურსია.

რა? სად? როდის? -ევროპის შესახებ

2024 წლის 6 აპრილს სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლაში ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის? -ევროპის შესახებ“ მუნიციპალური ეტაპი ჩატარდა.

ვიქტორინა ჩაატარა EU4 GEORGIA 4 COMUNICATING THE EUROPIAN UNION IN GEORGIA – მ, წამყვანი გახლდათ ბატონი ზაზა მანია.

თამაშში მუნიციპალიტეტის სკოლების ცამეტი გუნდი მონაწილეობდა. მონაწილე გუნდებმა ძალიან ძლიერი თამაში აჩვენეს. შედეგები ასე გადანაწილდა:

I ადგილი მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლა.

II ადგილი – მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაკრის საჯარო სკოლა.

III ადგილი – მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ უშგულის საჯარო სკოლა.

გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

ვულოცავთ გამარჯვებულ გუნდებს და მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის მოსწავლეებს ინტელექტუალურ თამაშებში მონაწილეობას და მივესალმებით მსგავს აქტივობებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლე ახალგაზრდობის თვითრეალიზაციას და ცოდნის წახალისებას.

"დოკუმენტური კინო-ფილმების კლუბი"

19 აპრილს ფარის საჯარო სკოლის დოკუმენტური ფილმების კლუბი „Cinema.Club“ წვირმის საჯარო სკოლის კინოკლუბ „სხივებს“ ესტუმრა.

ერთობლივი ჩვენების ფარგლებში, კინოკლუბების წევრებმა ნახეს ფილმი „გოგი და ნანული.“

ფილმის მთავარი გმირები არიან მოხუცი ცოლ-ქმარი გოგი და ნანაული, რომლებიც დაცლილ სოფელში ბრუნდებიან და ზამთრის დადგომამდე იქ რჩებიან, უვლიან სახლ-კარს, მაგრამ დღითიდღე ხვდებიან, რომ ყოველი წელი აშორებთ სოფელს და მას მერე, რაც თვითონ წავლენ ამ სოფლიდან, აღარავინ დარჩება ამ ულამაზეს ადგილას.

ფილმი დაცლილი სოფლებისა და მიტოვებული სახლების სევდას ირეკლავს და ღრმა ფიქრებს აღძრავს მაყურებელში.

დაცლილი სოფლების სევდა, კლუბის წევრებისათვის ნაცნობი და მტკივნეული თემაა. მონაწილეებმა იმსჯელეს თუ რა იწვევს მაღალმთიან სოფლებში ხალხის გადინებას, წარმოადგინეს პრობლემის გადაჭრის გზები და დაიგეგმა ერთობლივი პროექტი „მდუმარე სახლები“.

ფარის საჯარო სკოლის კინო კლუბი მადლობას უხდის წვირმის საჯარო სკოლოს კინოკლუბს და მის ხელმძღვანელს, ქალბატონ სოფიო ქუხილავას, მასპინძლობისთვის.

შეგახსენებთ, რომ დოკუმენტური ფილმების კლუბები საქართველოს მასშტაბით მუშაობს საერთაშორისო პროექტის Cine doc- ის ფარგლებში.

ჯანმრთელობის სადარაჯოზე

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მესტიის რაიონული სამსახური, ქალბატონ ელისო ზურებიანის ხელმძღვანელობით, წლების მანძილზე ერთგულად დგას ჩვენი მუნიციპალიტეტის საზოგადოების სამსახურში. ხშირია შემთხვევები, განსაკუთრებით დიდთოვლობის დროს, როცა, გამოძახების შემთხვევაში, მორიგე ბრიგადის წევრებს, ყინვასა და თოვლში, პაციენტამდე მისასვლელად ფეხითაც უწევთ გზის გარკვეული მონაკვეთის გავლა. სამსახურის უფროსი ელისო ზურებიანი გვიამბობს, რომ მადლიერია შპს „ლიდერი +“ -ის (უფროსი რეზო ჭკადუა), რომლის თანამშრომლებიც არაერთხელ დახმარებიან სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის თოვლში ჩარჩენილ მანქანას, დროულად გამოუყვანიათ ტექნიკა და გაუწმინდავთ გზები.

„ასევე, არ დამავიწყდება უშგულში გამოძახების დროს, გამთენიისას, 04 საათზე, თოვლში რომ ჩარჩა სასწრაფოს მანქანა და დასახმარებლად მივმართეთ რობიზონ მარგველანის ოჯახს. ოჯახმა დიდი ყურადღება გამოიჩინა ჩვენს მიმართ. სწორედ ასეთი ყურადღებიანი ადამიანები გვიადვილებენ ჩვენს რთულ სამუშაოს და ერთობლივი ძალისხმევით ხერხდება პაციენტამდე დროული მისვლა“ – ამბობს ელისო ზურებიანი.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით მადლობას ვუხდით საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მესტიის რაიონულ სამსახურს და ყველა იმ ადამიანს, ვისთვისაც ასეთ დროს თანადგომა ჩვეულებრივ ადამიანურ მოვალეობადაა მიჩნეული.

ჯანმრთელობას გისურვებთ ყველას.

დამფუძნებელი:
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი,
ნინო ნაკანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა
შპს. „გამომცემლობა კოლორში“

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45
ირმა ჯაჭვლიანი
ელ. ფოსტა:
irmajachvliani1968@gmail.com